ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №19

11 ოქტომბერი, 2018 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
5. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
6. დავით რურუა - კომისიის წევრი;
7. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. საკონსულტაციო ჯგუფ Mott Macdonald CZ, spol-ის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-0318271105-03; 28.09.2018);

3. ინფორმაციის მოსმენა ,,ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილების საფუძველზე ტაქსებზე (M1 კატეგორია) გაცემული ნებართვების შესახებ;

4. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის

დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031827730-03; 04.10.2018);

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031827666-03; 03.10.2018);

6. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა” ქვეპუნქტით, 135-ე მუხლითა და 135^1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031827665-03; 03.10.2018).

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

სხდომას თავმჯდომარეობდა **თედო ისაკაძე.**

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოწვეული სტუმრები/მომხსენებლები:

- **მარკ სელინი, ტიმ გულდი, დევიდ პარკინი** - საკონსულტაციო ჯგუფ Mott Macdonald CZ, spol;

- **ნანა ადეიშვილი** - აზიის განვითარების ბანკი;

- **მამუკა მუმლაძე -** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ვასილ აბულაძე -** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

1. **საკონსულტაციო ჯგუფ Mott Macdonald CZ, spol-ის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა**

თ.ისაკაძე - მინდა მადლობა გადავუხადო მოწვეულ სტუმრებს. პირველი საკითხი ეხება საკონსულტაციო ჯგუფ Mott Macdonald CZ, spol-ის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენას. მიგვაჩნია, რომ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა ძალიან მნიშვნელოვანია დედაქალაქისთვის.

მ. სელინი - მოხარულები ვართ აქ ყოფნით, წარმოგიდგენთ ინფორმაციას გაწეული საქმიანობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ რასაც დღეს გაგაცნობთ არის შუალედური ანგარიში და ახლო მომავალში მოხდება მისი დასრულებული სახით წარმოდგენა. მუშაობის პროცესში ჩვენი სახელმძღვანელო დოკუმენტები იყო მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო პოლიტიკა.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მაქსიმალური განვითარება, აუცილებელია ტრანსპორტის პოლიტიკის მამოძრავებელი რამდენიმე კონცეფციის შექმნა. ტრანსპორტის სტრატეგია მჭიდრო კავშირშია მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან.

დედაქალაქში წვდომა ტრანსპორტთან უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ქალაქში ცხოვრება და გადაადგილება კი სასურველი. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ქვეითს, შემდეგ ველოსიპედით მოსარგებლეს, მხოლოდ შემდეგ საზოგადოებრივ ტრანსპორტს და ბოლოს პირად საკუთრებაში არსებულ ავტომანქანებს. დედაქალაქის მაცხოვრებლებმა უნდა იცხოვრონ ჯანსაღ გარემოში, უნდა ჰქონდეთ კარგი, მოწესრიგებული საჯარო ტრანსპორტი, უნდა გაჩნდეს ახალი დასახლებები და სამუშაო ადგილები.

ჩვენი ხედვის თანახმად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის იერარქია ასე გამოიყურება: პირველი და მთავარი არის სტრატეგიული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, შემდეგ ე.წ. ,,მნიშვნელოვანი ავტო ტრანსპორტი" და ბოლოს ავტო ტრანსპორტი, რომელიც ქსელს მოამარაგებს მოკლე მარშუტებზე.

უნდა განიმარტოს, რომ სტრატეგიულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში იგულისხმება ავტობუსები და მეტრო, რომელთაც გადაჰყავთ მგზავრთა დიდი რაოდენობა და წარმოადგენენ ქსელის ძირითად ნაწილს. ხოლო, რაც შეეხება ე.წ.

,,მნიშვნელოვან ავტო ტრანსპორტს“, ის წარმოადგენს დამატებას და დაკავშირებული უნდა იყოს ძირითად ქსელთან.

უპირობოდ უნდა განვავითაროთ ე.წ. ,,BUS LINE”-ები, რაც აუმჯობესებს ავტობუსების გადაადგილების სიჩქარეს და მნიშვნელოვნად ამცირებს ავტო საგზაო შემთხვევებს. რაც შეეხება მიკროავტობუსებს, ისინი უნდა ემსახურებოდნენ მხოლოდ მეორად ქუჩებს და აუცილებლად უნდა იყვნენ კერძო კომპანიის საკუთრებაში.

მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე მეტროს ახალი სადგურების დამატება არაა სასურველი, უნდა მოხდეს მხოლოდ არსებული მეტროსადგურების სრულად რეაბილიტაცია.

მართალია შემოვლითი რკინიგზის პროექტზე უარი ითქვა, მაგრამ გვაქვს საშუალება განვავითაროთ იგი სხვა მიმართულებით. თავისუფლად შეიძლება მოეწყოს სხვადასხვა მარშრუტი, მათ შორის, გორი-თბილისი (ლილო, აეროპორტი) - მარნეული.

რაც შეეხება საბაგიროებს, ამ ეტაპზე არ უნდა მოხდეს მათი განვითარება, უნდა დაველოდოთ დედაქალაქის მდგრად ურბანულ კვლევას, რომელიც მომავალ წელს მზად იქნება.

აუცილებელი რეკომენდაციაა ტრანსპორტის სამმართველოს ინსტიტუციური მოწყობა, რომელშიც გაერთიანებული იქნება ყველა მიმართულება ტრანსპორტთან დაკავშირებით. იგი მოაგვარებს ყველა ტიპის პრობლემას. ეს ინსტიტუტი თავის თავზე აიღებს აღსრულებით ნაწილსაც, მაგალითად ტაქსებთან დაკავშირებით.

ფეხით და ველოსიპედით გადაადგილება არის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი, მაგრამ სანამ ველო ბილიკების მოწყობა გადაწყდება, უნდა მოხდეს დიზაინის შემუშავება ქუჩების გათვალისწინებით.

გარემოს დაცვა, ჯანსაღ გარემოში ცხოვრება მნიშვნელოვანი ფაქტორია მოქალაქეებისთვის, ჩვენი რეკომენდაციაა შედარებით სუფთა საწვავზე გადავიდნენ ავტობუსები და ტაქსები, სასურველია კერძო ავტომობილებიც. ეს ყველაფერი საშუალებას იძლევა არ დავიწყოთ ისეთ ძვირადღირებულ პროექტზე ფიქრი, როგორიცაა ელექტრო ავტობუსებით ავტოპარკის ჩანაცვლება.

რეგულაციები, რომლებიც ამოქმედებულია ტაქსებთან დაკავაშირებით მისასალმებელია, მაგრამ შევიტანდით მეტ სიმკაცრეს განსაზღვრებაში თუ რა არის ტაქსი და რა ფუნქცია აკისრია მას.

ახალი ქუჩების, ტრასების და გვირაბების მშენებლობა მისასალმებელია, მაგრამ სანამ არ დაიდება შესაბამისი კვლევა არ უნდა დაიგეგმოს ახალი მშენებლობები, რადგან ეს ყველაფერი გავლენას ახდენს მგზავრთა ნაკადზე.

მნიშვნელოვანია ერთიანი გადახდის სიტემის დანერგვა ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ არ აქვს თბილისს.

საჯარო ტრანსპორტის გადაადგილებასთან დაკავშირებით, სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება ფაქტიურად შეუძლებელია. ჩვენი რეკომენდაციაა, ერთ საიტზე იყოს განთავსებული სრული და ამომწურავი ინფორმაცია, როგორც მოგზაურთათვის, ასევე, რიგითი მოქალაქეებისთვის. რაც უფრო სრულყოფილი და ადვილად ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია, მით მეტი მოქალაქე ისარგებლებს საჯარო ტრანსპორტით.

ასევე გთავაზობთ, სატრანსპორტო სფეროში მეტი ქალის დასაქმებას. ამ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ გაცილებით ნაკლები ავტოსაგზაო შემთხვევა იქნება, რადგან ქალი მძღოლები განსაკუთრებული სიფრთხილით გამოირჩევიან.

დედაქალაქის მერი მხარს უჭერს ღამის ეკონომიკის განვითარებას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის ტრანსპორტს. ჩვენ მხარს ვუჭერთ, რომ სტრატეგიული ავტობუსები მოძრაობდნენ 24 საათის განმავლობაში. ცალკე თემაა ტვირთების გადაზიდვა, რომელიც ქალაქს მაქსიმალურად უნდა ავარიდოთ.

შ. ოგბაიძე - მადლობა კვლევის ავტორებს. რომ არა თქვენ, გვეყოლებოდა ბევრი უხარისხო ავტობუსი. თბილისი იყო კერძო ავტომობილების ქალაქი, ჩვენ გვსურს იგი ვაქციოთ საჯარო ტრანსპორტის ქალაქად და განვავითაროთ. როგორ წარმოგიდგენიათ ტრანსპორტის სამმართველოს ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც აღმოფხვრის არსებულ პრობლემებს. დღევანდელი მდგომარეობით ადმინისტრაცია ვერ ეხება საგზაო მოძრაობისას წარმოქმნილ პრობლემებს, მასზე კონტროლს მხოლოდ საპატრულო პოლიცია უზრუნველყოფს.

მ. სელინი - უნდა არსებობდეს პოლიტიკის განმსაზღვრელი ჯგუფი ამ სფეროში, რომელიც იმუშავებს პრობლემებზე და პრიორიტეტებზე. ამ ჯგუფის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი გეგმა, რომელიც შესაბამის სამსახურებს გადაეცემათ. აღსანიშნავია, რომ ჯერ ტრანსპორტის სამსახური უნდა იყოს ჩართული პროექტების შემუშავებაში და მხოლოდ შემდეგ უნდა გადაეცემოდეს ის ინფრასტრუქტურის შესაბამის სამსახურს და არავითარ შემთხვევაში პირიქით.

რაც შეეხება საპატრულო პოლიციას და მის ფუნქციებს, უსაფრთხოების გარკვეული ნაწილი შესაძლოა იყოს სამმართველოს პრეროგატივა, ნაწილი კი კვლავ საპატრულო პოლიციის.

შეგვიძლია ბევრი ვისაუბროთ ტრანსპორტის სამმართველოს შექმნაზე, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში შესაბამისი სამმართველოს შექნაში დიდი წვლილი გვაქვს შეტანილი.

მ. მუმლაძე - წელიწადზე მეტია ჯგუფი მერიასთან თანამშრომლობს და ჩვენთან ერთად მუშაობს. ყველა მიმდინარე პროექტში იყვნენ და არიან ჩართულები, მათი რეკომენდაციები ძალიან მნიშვნელოვანია და ვითვალისწინებთ. დედაქალაქი მალე იხილავს ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგებს.

თ. ისაკაძე - ვუერთდები მადლობას, აუცილებელი სამუშაოები ჩატარდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. მზად ვართ სამომავლო თანამშრომლობისთვის ნებისმიერ საკითხში.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

2. **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-0318271105-03; 28.09.2018)**

თ.ისაკაძე - შემდეგ საკითხებს წარმოგვიდგენენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები.

ვ. აბულაძე - 2018 წლის 4 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო და 7 ივლისიდან ამოქმედდა საკანონმდებლო პაკეტი, რომლის საფუძველზეც, მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 26^1-ე პუნქტის მიხედვით, ნებართვის სახეებს დაემატა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვა. ამავე კანონის 26^5-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვას გასცემს საქართველოს დედაქალაქის მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი საქართველოს დედაქალაქის მერიის სტრუქტურული ერთეული, ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად იხდის ნებართვის გაცემის ფასს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს დედაქალაქის ბიუჯეტში, საქართველოს დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო კი ამტკიცებს საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობებს, ნებართვის გაცემის წესს, ნებართვის გაცემის ფასსა და მისი გადახდის წესს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 64-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თბილისის საკუთარ უფლებამოსილებებს დაემატა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, ნებართვის მფლობელთა შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლებისა და დამუშავების წესის განსაზღვრა. ამავე კანონის 75-ე მუხლის „ე.გ[1]“ ქვეპუნქტით მთავრობის უფლებამოსილებებს დაემატა თბილისის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის წარდგენა, ხოლო „ე.ვ[1]“ ქვეპუნქტით - საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემა ან აღნიშნული ნებართვის გაცემის უფლებამოსილების თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულისთვის მინიჭება.

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლის მე-11[1] პუნქტის მიხედვით, კანონში გამოყენებულ განმარტებებს დაემატა ახალი ტერმინი - მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანა, ხოლო მე-5[1] მუხლს სანებართვო საქმიანობის სახედ „ა[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაემატა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანა.

ზ/ა საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, შემუშავდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილება „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“.

ასევე, დადგინდა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასი, ნებართვის გაცემის დღიდან 2019 წლის პირველ ოქტომბრამდე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, 2018 წლის პირველ ოქტომბრამდე, დაევალა წარმოედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ცვლილების პროექტი, რომელშიც

გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ახალი ან/და დამატებით სანებართვო პირობები მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით გადაყვანის რეგულირებისათვის.

შესაბამისად, 2018 წლის 29 სექტემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი იქნა **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით:**

შემოდის „A“ და „B“ კატეგორიების ნებართვების ცნებები, რომელთა მიხედვით „A“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა ნებართვის მაძიებელზე, რომელსაც სურს განახორციელოს მგზავრთა გადაყვანა იმ მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია), რომელიც არის თეთრი ფერის, წესის დანართი 2-ით დადგენილი ვიზუალის მქონეა, საჭის მდებარეობა აქვს მარცხნივ და აქვს 5 კარი, ხოლო „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა ნებართვის მაძიებელზე, რომელსაც სურს განახორციელოს მგზავრთა გადაყვანა იმ მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია), რომელსაც საჭის მდებარეობა აქვს მარცხნივ და აქვს 5 კარი.

ნებართვის გაცემის შემდეგ ნებართვის მფლობელს ნებართვის გამცემის მიერ გადაეცემა ტაქსის აღმნიშვნელი თეთრი ფერის ერთი მანათობელი ნიშანი მასზე დატანილი წარწერით „TAXI თბილისი“.

„A“ და „B“ კატეგორიების ნებართვების მფლობელებს უდგინდებათ განსხვავებული სანებართვო პირობები. კერძოდ:

<u>„A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი,</u> ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, ვალდებულია დაიცვას შემდეგი სანებართვო პირობები: ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა „A“ კატეგორიის ნებართვაში მითითებული მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია); ბ) მომსახურების გაწევისას გამოიყენოს მხოლოდ ის მანათობელი ნიშანი, რომელიც გადაეცა ნებართვის გამცემის მიერ და იქონიოს ის თავდაპირველი ფორმით; გ) მომსახურების გაწევისას მანათობელი ნიშანი განათავსოს სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილის (სახურავის) შუა ადგილზე; დ) ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, აგრეთვე ამ წესის დანართი 2-ით და დანართი 3-ით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა მსუბუქ ავტომობილზე – ტაქსზე (M1 კატეგორია) არ ჰქონდეს სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (მათ შორის მუნიციპალიტეტის, ქალაქის,

რაიონის, ქუჩის აღმნიშვნელი და სხვა); ე) უზრუნველყოს ნებართვის განთავსება სატრანსპორტო საშუალებაში თვალსაჩინო ადგილას ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი წაკითხვა მგზავრის მიერ; ვ) რეკლამა განათავსოს ამ წესის დანართი 3-ის შესაბამისად განსაზღვრულ ადგილებზე.

<u>„B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი,</u> ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, ვალდებულია დაიცვას შემდეგი სანებართვო პირობები: ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა „B“ კატეგორიის ნებართვაში მითითებული მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია); ბ) უზრუნველყოს ნებართვის განთავსება სატრანსპორტო საშუალებაში თვალსაჩინო ადგილას ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი წაკითხვა მგზავრის მიერ; გ) არ დაუშვას მგზავრის ქუჩიდან აყვანა.

ნებართვის გამცემის უფლება - მოვალეობებს ემატება ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, იგი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს აეროპორტთან, სადგურებთან და სავაჭრო ცენტრებთან (კომერციულ ობიექტებთან) ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ პარკირების ადგილზე, მსუბუქი ავტომობილის-ტაქსის (M_1 კატეგორია) გასაჩერებელი ადგილით, მხოლოდ „A“ კატეგორიის ნებართვების მფლობელებისთვის.

ზ/ა პუნქტებით გათვალისწინებული პირობების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2019 წლის პირველი ოქტომბერი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 7; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი -0), კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე (16-0318271105-03; 28.09.2018) სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

3. **ინფორმაციის მოსმენა ,,ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილების საფუძველზე ტაქსებზე (M1 კატეგორია) გაცემული ნებართვების შესახებ.**

მ.მუმლაძე - უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმა არის წარმატებული. 11 ოქტომბრის დილის 10 საათის მონაცემებით ტაქსის ნებართვა გაცემულია 17 696 ავტომფლობელზე. აქედან ჰიბრიდული ავტომობილების რაოდენობა შეადგენს 4 979 ერთეულს, ელექტრო ავტომობილები - 19 ერთეულს და სხვა.

ქალი მძღოლების რაოდენობა დილის 10 საათის მდგომარეობით არის 54, რაც მისასალმებელია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

4. **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031827730-03; 04.10.2018)**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში შედის შემდეგი სახის ცვლილებები: დადგენილების მე-3 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის 3[1] პუნქტი: ,,მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მფლობელი, ხოლო 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან „A" კატეგორიის ნებართვის მფლობელი გათავისუფლდეს პარკირების საფასურის გადახდისგან, მხოლოდ ტაქსისთვის განკუთვნილ სპეციალური პარკირების ადგილზე პარკირებისას."

ამავე დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების

რეგულირების წესის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ბ) ნებართვის მქონე ტაქსის, ხოლო 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან მხოლოდ „A“ კატეგორიის ნებართვის მქონე ტაქსის, საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანით დაკავებული სატრანსპორტო საშუალებების და ტურისტული მარშრუტებისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის”.

ხოლო მე-10 მუხლის მე-8 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ელექტროძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების, რომლის ძრავას მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია, დადგენილი პარკირების საფასურების გადახდისაგან და მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მფლობელის ტაქსისთვის განკუთვნილ სპეციალური პარკირების ადგილზე პარკირებისას, პარკირების საფასურის გადახდისგან გათავისუფლებას უზრუნველყოფს პარკირების ოპერატორი“.

წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია ტაქსების რეგულაციის ხელშეწყობა. საფასურის გადახდის გარეშე, ტაქსების დგომისთვის სპეციალური პარკირების ადგილების მოწყობა, განპირობებულია ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანაზე ნებართვის მფლობელების არასახარბიელო სოციალური მდგომარეობით. ამასთან, სპეციალური პარკირების ადგილები ხელს შეუწყობს საგზაო მოძრაობის განტვირთვას, ტაქსით მომსახურება უფრო მეტად კომფორტული იქნება როგორც დედაქალაქის მაცხოვრებლებისთვის, ისე უცხოელი ვიზიტორებისთვის, რომლებისთვისაც წინასწარ იქნება ცნობილი ტაქსების გაჩერების ადგილები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი -0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე (12-031827730-03; 04.10.2018) სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

5. **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[2] მუხლით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით და 135[4] მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031827666-03; 03.10.2018)**

ვ. აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შემუშავება განაპირობა საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა. უფრო კონკრეტულად, 2018 წლის 4 მაისს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, კოდექსს დაემატა 135[2], 135[3] და 135[4] მუხლები, რომელთა მიხედვით დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით სატვირთო ავტომობილის (N1, N2 და N3 კატეგორიების) მოძრაობა ან ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის სატრანსპორტო საშუალებით მიწოდება/ტრანსპორტირება დედაქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული ადგილის ან/და დროის დარღვევით, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დედაქალაქის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ გზებზე დადგენილი ავტობუსების გაჩერების ადგილების გარდა სხვა ადგილებზე გაჩერება, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელება გამოიწვევს სამართალდამრღვევ პირებზე ჯარიმების დაკისრებას სხვადასხვა ოდენობით.

წესი, რომელიც უნდა დამტკიცდეს თბილისის საკრებულოს აღნიშნული დადგენილებით, განსაზღვრავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[2] მუხლით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით და 135[4] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის, საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შენახვის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გასაჩივრების სამართლებრივ მექანიზმებს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 27 ნაწილის შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მუხლებზე საჯარიმო ქვითრების შედგენის უფლებამოსილება მიენიჭათ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეებს.

საჯარო მოსამსახურე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[4] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.

სამსახური უფლებამოსილია საჯარო მოსამსახურე აღჭურვოს შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობით, რომლის მეშვეობით საჯარო მოსამსახურე უფლებამოსილია დააფიქსიროს ადმინისტრაციული სამართლადარღვევის ფაქტი (მათ შორის საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების პროცესი). ელექტრონული ფორმით შევსებული საჯარიმო ქვითარი ფიქსირდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. სამართალდამრღვევს გამოეწერება და ბარდება ამობეჭდილი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი.

სამართალდამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღეში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის შესაბამისად.

საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან 30 დღეში დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევ პირს, ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ინფორმაციის გათვალისწინებით, დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.

პირს, ვის მიმართაც არის გამოტანილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგენილება ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება, მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლია იგი გაასაჩივროს თბილისის საქალაქო სასამართლოში ან სამსახურში.

წესში დეტალურად არის გაწერილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[2] მუხლით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით

და 135^4 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის შინაარსი და მისი შევსების წესი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 7; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი -0), კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე (12-031827666-03; 03.10.2018) სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

6. **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა” ქვეპუნქტით, 135-ე მუხლითა და 135^1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031827665-03; 03.10.2018)**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით, 135-ე მუხლითა და 135^1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილებაში (სსმ, ვებ-გვერდი: www.matsne.gov.ge, 26/11/2014, სარეგისტრაციო კოდი:

020080000.35.101.016030). პროექტის მიხედვით, იცვლება დადგენილების სათაური და ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125[2] მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 135-ე–135[4] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ".

პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის დადგენილების პირველ პუნქტშიც და ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური განისაზღვროს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125[2] მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 135-ე–135[4] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად.

აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებები გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ 2018 წლის 4 მაისს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განახორციელა ცვლილებები და კოდექსს დაემატა 135[2], 135[3] და 135[4] მუხლები, რომელთა მიხედვით, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით სატვირთო ავტომობილის (N_1, N_2 და N_3 კატეგორიების) მოძრაობა ან ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის სატრანსპორტო საშუალებით მიწოდება/ტრანსპორტირება დედაქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული ადგილის ან/და დროის დარღვევით, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დედაქალაქის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ გზებზე დადგენილი ავტობუსების გაჩერების ადგილების გარდა სხვა ადგილებზე გაჩერება, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელება გამოიწვევს სამართალდამრღვევ პირებზე

ჯარიმების დაკისრებას სხვადასხვა ოდენობით. იმავე კოდექსის 209^3 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ამ კოდექსის 135^2 მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 7; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი -0), კომისიამ დაადგინა:

- „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით, 135-ე მუხლითა და 135^1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე (12-031827665-03; 03.10.2018) სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

თედო ისაკაძე